პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და
საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.
КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 24 სექტემბერი, 1943 წ. № 200 (6825). ფასი 20 კაპ.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა

კალინინის ფრონტის ჯარებმა, ორი დღის ბრძოლების შემდეგ, გასტეხეს მტრის წინააღმდეგობა და 21 სექტემბერს იერიშით დაიკავეს გერმანელთა თავდაცვის ერთ-ერთი მძლავრი კვანძი ქალაქი **დემიდოვი.**

ქალაქ დემიდოვის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ **ბოლშაკოვის** ჯარებმა, რომელთაგანაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი:

გენერალ-მაიორ **უსაჩევის** 262-ე მსროლელმა დივიზიამ, პოლკოვნიკ **ბელიაევის** 270-ე მსროლელმა დივიზიამ, პოლკოვნიკ **ეგოშინის** 114-ე მსროლელმა ბრიგადამ, პოდპოლკოვნიკ **პავლოვის** 105-ე სატანკო პოლკმა, პოლკოვნიკ **დიდიშკოს** წითელდროშოვანმა 43-ე ზარბაზნის საარტილერიო პოლკმა, პოდპოლკოვნიკ **მელნიკოვის** 118-ე ნაღმმტყორცნელმა პოლკმა, მაიორ **ალექსეევის** 273-ე საინჟინრო ბატალიონმა.

მიღწეულ წარმატებათა აღსანიშნავად ჩამოთვლილ შენაერთებსა და ნაწილებს მიენიჭოთ სახელწოდება „**დემიდოვის**" და ამიერიდან ისინი იწოდებოდნენ:

დემიდოვის 262-ე მსროლელი დივიზია,
დემიდოვის 270-ე მსროლელი დივიზია,
დემიდოვის 114-ე მსროლელი ბრიგადა,
დემიდოვის 105-ე სატანკო პოლკი,
დემიდოვის წითელდროშოვანი 43-ე ზარბაზნის საარტილერიო პოლკი,
დემიდოვის 118-ე ნაღმმტყორცნელი პოლკი,
დემიდოვის 273-ე საინჟინრო ბატალიონი.

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1943 წლის 22 სექტემბერი.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
არმიის გენერალ კონევს

სტეპნოის ფრონტის ჯარებმა წარმატებით განავითარეს შეტევა, გადალახეს მდინარე **ვორსკლა** და სამი დღის დაძაბული ბრძოლების შემდეგ დღეს, 23 სექტემბერს, დაიკავეს უკრაინის საოლქო ცენტრი—ქალაქი **პოლტავა**—გერმანელთა თავდაცვის მძლავრი კვანძი მარცხენა ნაპირის უკრაინაში.

ქალაქ **პოლტავის** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ **შადოვის**, გენერალ-ლეიტენანტ **მანაგაროვის** ჯარებმა და ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ **გორიუნოვის** მფრინავებმა.

განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი:

პოლკოვნიკ **საზონოვის** გვარდიის მე-9 საჰაერო-სადესანტო დივიზიამ, გენერალ-მაიორ **ბაკლანოვის** გვარდიის წითელდროშოვანმა და ლენინის ორდენოსანმა მე-13 მსროლელმა დივიზიამ, გენერალ-მაიორ **იაკუბენის** გვარდიის 66-ე მსროლელმა დივიზიამ, გენერალ-მაიორ **ნიკიტჩენკოს** გვარდიის 95-ე მსროლელმა დივიზიამ, პოლკოვნიკ **ანციფეროვის** გვარდიის 97-ე მსროლელმა დივიზიამ, გენერალ-მაიორ **ბუნიაშვილის** ხარკოვის 84-ე მსროლელმა დივიზიამ, პოლკოვნიკ **სკოროდუმოვის** 42-ე მსუბუქმა საარტილერიო ბრიგადამ, პოდპოლკოვნიკ **ვლასენკოს** 301-მა გამანადგურებელმა ტანკსაწინააღმდეგო არტილერიის პოლკმა, პოდპოლკოვნიკ **ფედოროვის** 57-ე სატანკო პოლკმა, ინჟინერ-პოდპოლკოვნიკ **ბოლტუსევიჩის** 431-ე საინჟინრო ბატალიონმა, პოდპოლკოვნიკ **ტარანენკოს** 294-ე გამანადგურებელი ავიაციის დივიზიამ და პოლკოვნიკ **როდიაკინის** 266-ე მოიერიშე ავიაციის დივიზიამ.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთებსა და ნაწილებს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ქალაქ **პოლტავის** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში მიენიჭოთ სახელწოდება „**პოლტავისა**".

ამიერიდან ეს შენაერთები და ნაწილები იწოდებოდნენ:

გვარდიის პოლტავის მე-9 საჰაერო-სადესანტო დივიზია,
გვარდიის მე13-ე წითელდროშოვანი და ლენინის ორდენოსანი პოლტავის მსროლელი დივიზია,
გვარდიის პოლტავის 66-ე მსროლელი დივიზია,
გვარდიის პოლტავის 95-ე მსროლელი დივიზია,
გვარდიის პოლტავის 97-ე მსროლელი დივიზია,
პოლტავის 42-ე მსუბუქი საარტილერიო ბრიგადა,
პოლტავის 301-ლი გამანადგურებელი ტანკსაწინააღმდეგო არტილერიის პოლკი,
პოლტავის 57-ე სატანკო პოლკი,
პოლტავის 431-ე საინჟინრო ბატალიონი,
პოლტავის 294-ე გამანადგურებელი ავიაციის დივიზია,
პოლტავის 266-ე მოიერიშე ავიაციის დივიზია,

ხარკოვის 84-ე მსროლელი დივიზია, რომელმაც მეორედ გამოიჩინა თავი გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლებში, წარდგენილ იქნას **წითელი დროშის** ორდენით დასაჯილდოებლად.

დღეს, 23 სექტემბერს, 21 საათზე, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი **მოსკოვი** სამშობლოს სახელით ასოცდაოთხი ქვემეხის თორმეტი საარტილერიო سალპით სალუტს აძლევს ჩვენს მამაც ჯარებს, რომლებმაც გაათავისუფლეს ქალაქი **პოლტავა.**

საუცხოო საბრძოლო მოქმედებისათვის **მადლობას ვუცხადებ** თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ყველა ჯარებს, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ქალაქ **პოლტავის** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობთ!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1943 წლის 23 სექტემბერი.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
არმიის გენერალ პოპოვს

ბრიანსკის ფრონტის ჯარები სწრაფ შეტევას განაგრძობდნენ და დღეს, 23 სექტემბერს, ბრძოლით დაიკავეს რკინიგზის უმნიშვნელოვანესი კვანძი და გერმანელთა თავდაცვის ძლიერი დასაყრდენი პუნქტი გომელის მიმართულებით—ქალაქი **უნეჩა.**

ქალაქ **უნეჩისათვის** ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ **ფედიუნინსკის** ჯარებმა და ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ **ნაუმენკოს** მფრინავებმა.

განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი:

პოლკოვნიკ **დანილოვსკის** ბრიანსკის 197-ე მსროლელმა დივიზიამ, პოლკოვნიკ **მასლენოვის** 217-ე მსროლელმა დივიზიამ, პოდპოლკოვნიკ **ვორონკოვის** 117-ე სატანკო ბრიგადამ, პოლკოვნიკ **სმირნოვის** 30-ე მოტომსროლელმა ბრიგადამ.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთებს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ქალაქ **უნეჩის** განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, მიენიჭოთ სახელწოდება „**უნეჩისა**".

ამიერიდან ეს შენაერთები იწოდებოდნენ:

უნეჩის 217-ე მსროლელი დივიზია,
უნეჩის 117-ე სატანკო ბრიგადა,
უნეჩის 30-ე მოტომსროლელი ბრიგადა.

ბრიანსკის 197-ე მსროლელი დივიზია, რომელმაც მეორეჯერ გამოიჩინა თავი გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლებში, წარდგენილ იქნას **წითელი დროშის** ორდენით დასაჯილდოებლად.

დღეს, 23 სექტემბერს, 22 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი **მოსკოვი** სამშობლოს სახელით ასოცდაოთხი ქვემეხის თორმეტი საარტილერიო ზალპით, სალუტს აძლევს ჩვენს მამაც ჯარებს, რომლებმაც გაათავისუფლეს ქალაქი **უნეჩა.**

საუცხოო საბრძოლო მოქმედებისათვის **მადლობას ვუცხადებ** თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ყველა ჯარებს, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ქალაქ **უნეჩის** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1943 წლის 23 სექტემბერი.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
არმიის გენერალ პოპოვს

ბრიანსკის ფრონტის ჯარები სწრაფ შეტევას განაგრძობდნენ და ბრძოლით დაიკავეს რკინიგზის უმნიშვნელოვანესი კვანძი — სუ-ფსეხი, ალექსეევკა და ანაპსკაია.

ზაპოროჟიეს მიმართულებით ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ, წინ წაიწიეს 5-დან 10-მდე კილომეტრით და დაიკავეს 40 დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **ტერნოვკა**, **პერვომაისკოე**, **ნოვოგიგანტოვკა**, **ლიუბიმოვკა**, **ვასილიევკა**, **კავლოვსკი**, **ნოვო-უკრაინკა** (13 კილომეტრზე ზაპოროჟიეს ჩრდილო-აღმოსავლეთით), **ტარასოვკა** და რკინიგზის სადგურები—**სოფიევკა**, **იაიცევო** და **კირპოტინო.**

დნეპროპეტროვსკის მიმართულებით ჩვენი ჯარები წარმატებითი შეტევის განვითარებას განაგრძობდნენ, წინ წაიწიეს 10-დან 20-მდე კილომეტრით და აიღეს ქალაქი **ნოვო-მოსკოვსკი**, დაიკავეს აგრეთვე 90-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **მაიაჩკა**, **დეუხალოვკა**, **ვოდიანოე**, **ელენოვკა**, **ანდრეევკა**, **კაზნაჩეევკა**, **ნიკოლაევკა**, **ვოლნოე**, **ორლოვშჩინა**, **პესჩანკა**, **ოდინოკოვკა**, **ლოზოვატკა**, **აფანასიევკა**, **ვარვაროვკა** და რკინიგზის სადგურები — **ბუშინიხა** და **ორლოვშჩინა.**

პოლტავის მიმართულებით ჩვენი ჯარები შეტევის განვითარებას განაგრძობდნენ, წინ წაიწიეს 10-დან 18-მდე კილომეტრით და დაიკავეს 150-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის პოლტავის ოლქის რაიონული ცენტრები **შიშაკი**, **დიკანკა** და დიდი დასახლებული პუნქტები **ბოლშაია**, **ბუზოვა**, **ბალიასნოე**, **ვასილიევკა**, **სტასოვკა**, **პეტროვკა**, **ბეზრუჩკი**, **ბოლოვაჩი**, **მალოე პერეშჩეპინო**, **დრაბინოვკა**, **ვერხნიე პოლოგი**, **ჩაპაევო** და **ლივენსკოე.**

კიევის მიმართულებით ჩვენი ჯარები წარმატებითს შეტევას განაგრძობდნენ, წინ წაიწიეს 15-დან 20-მდე კილომეტრით და აიღეს ქალაქი **ოსტერი**, ქალაქი **პერეიასლავი**, ქალაქი **ზოლოტონოშა**, დაიკავეს აგრეთვე 180-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის პოლტავის ოლქის რაიონული ცენტრი **დრაბოვი**, ჩერნიგოვის ოლქის რაიონული ცენტრი **ნოვაია ბასანი**, კიევის ოლქის რაიონული ცენტრი **ბორზნა** და დიდი დასახლებული პუნქტები **კარაკილოვკა**, **ევმენკი**, **კრასავეო**, **ლიოტკი**, **სემიკოლკი**, **იასლოვკა**, **ოტტოროლუჩიე**, **სემიონოვკა**, **ვოიტოვეცი**, **ერკოვეცი**; **ვინინეცი**, **ველიკი ხუტორი**, **ბლაგოვეშჩენსკი** და **ვოზნესენსკი.**

გომელის მიმართულებით ჩვენი ჯარები წარმატებითს შეტევას განაგრძობდნენ, წინ წაიწიეს 10-დან 25-მდე კილომეტრით და აიღეს ქალაქი **პოჩეპი**, ქალაქი **მგლინი**, ქალაქი **სტაროდუბი**, დაიკავეს აგრეთვე 260-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები — **ბოლოტნია**, **ნიკოლაევკა**, **შუმაროვო**, **დიმოვკა**, **დოლგატოვო**, **ვისტრიკოვო**, **კარტუშინო**, **ბოლდოვკა**, **პრივალოვკა**, **ვოროგნოკი**, **ლუჟკი**, **კამენსკი**, **ხუტორი**, **ელინო**, **მისანი**; **კუიბიშევი** და **ანდრეევკა.**

როსლავლის მიმართულებით ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ, წინ წაიწიეს 3-დან 4-მდე კილომეტრით და 80-ზე მეტი დასახლებული პუნქტი დაიკავეს.

სმოლენსკის მიმართულებით ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ, ცალკეულ უბნებზე წინ წაიწიეს 3-დან 4-მდე კილომეტრით და დაიკავეს 30-ზე მეტი დასახლებული პუნქტი.

სმოლენსკის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა შეუპოვარი ბრძოლების შემდეგ აიღეს ქალაქი **დემიდოვი**, დაიკავეს აგრეთვე 50-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები — **სავოსტიე**, **ბორკი**, **სკუბრევა**, **ნიკოლცი**, **ფოუნია**, **ბოლშოე არეტოვო**, **ნოვი პოჩინოკი**, **ლოგოვოვო**, **ოკატოვო** და **სპასკ-ლიპკი.**

21 სექტემბრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დაანგრიეს და მოსპეს გერმანელთა 24 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 40 თვითმფრინავი.

*

ნოვოროსიისკის ჩრდილო-დასავლეთით მოწინააღმდეგე მაღლობებს ეფარება და შეუპოვარ წინააღმდეგობას გვიწევს. ჩვენი ჯარები გერმანელთა წინააღმდეგობის კვანძებს სპობდნენ, ქალაქ ანაპას მიადგნენ და გააფთრებული ბრძოლის შემდეგ დაიკავეს იგი. ხელთ ვიგდეთ 49 ქვემეხი, 180 ტყვიამფრქვევი, 77 ნაღმსატყორცნი, 4.000 შაშხანა და ავტომატი, 40 სხვადასხვა საწყობი, 200.000 ვაზნა, 25.000 ყუმბარა, 100 კილომეტრი სატელეფონო კაბელი და სხვა დავლა. ტყვედ წამოყვანილია 200-ზე მეტი კაცი. სხვა უბანზე ჩვენმა ჯარებმა რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს, რომელთათვის ბრძოლებშიც გაელეტილია მტრის 1.200 ჯარისკაცი და ოფიცერი.

ჩვენი ავიაცია მოწინააღმდეგის თავმოყრილ ჯარებს ურტყამდა. ერთი დასახლებული პუნქტის რაიონში ნ ნაწილის მფრინავებმა გერმანელთა ორ ბატალიონამდე ჯარი გაელეტეს და დაამტვრიეს 120 ავტომანქანა და 15 საველე ქვემეხი.

* * *

დნეპროპეტროვსკის მიმართულებით ჩვენი ჯარები ბრძოლით მიიწევდნენ წინ. გვარდიის ნ შენაერთის მებრძოლებმა მდინარე სამარა გადალახეს, მის გასწვრივ წაიწიეს, სამხრეთისაკენ და ქალაქ ნოვო-მოსკოვსკის მისადგომებთან გავიდნენ. დილაადრიან ქალაქს მიადგნენ აგრეთვე საბჭოთა ნაწილები, რომლებიც რკინიგზით ეტევდნენ სადგურ ორლოვშჩინიდან.

დღის დამლევს ჩვენმა გვარდიელმა მებრძოლებმა გადამწყვეტი იერიშით აიღეს რკინიგზის კვანძი და ქალაქი ნოვო-მოსკოვსკი. მტერს დიდი ზარალი მოუვიდა. წამოღებულია დიდი დავლა და წამოყვანილია მრავალი ტყვე. სხვა უბანზე ნ შენაერთის ნაწილებმა, რომელნიც გერმანელებს მისდევდნენ, ხელთ იგდეს 23 ქვემეხი, 80 ტყვიამფრქვევი, 4 საწყობი სალმარი მასალა, 7 საწყობი სურსათი და 5 საწყობი საწვავი.

* * *

პოლტავის მიმართულებით ნ შენაერთის ნაწილებმა ორ ადგილს გადალახეს წყლის ზღუდე და ბრძოლა გააჩაღეს დიდი დასახლებული პუნქტის მისადგომებთან. სხვა უბანზე საბჭოთა მებრძოლებმა, რომელნიც ბრძოლით მიიწევდნენ წინ, 1.000-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი გაელეტეს. ხელთ ვიგდეთ „ვეფხვის" ტიპის 6 ტანკი, „ფერდინანდის" ტიპის 8 თვითმავალი ქვემეხი, 31 საველე ქვემეხი, 2 საწყობი სალმარი მასალა და საწყობი დიდძალი მარცვლეულით.

* * *

კიევის მიმართულებით ჩვენი ჯარები წარმატებითს შეტევას განაგრძობდნენ. ერთი დღის ბრძოლაში გაელეტილია 2.000-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, დაზიანებული და დამწვარია მოწინააღმდეგის 16 ტანკი. საბჭოთა ტანკისტებმა სწრაფად წაიწიეს წინ და დაიკავეს კიევის ოლქის ქალაქი **პერეიასლავი**. გვარდიის ნ შენაერთის ნაწილებმა სასტიკი ბრძოლის შემდეგ აიღეს ქალაქი და რკინიგზის კვანძი ზოლოტონოშა. წამოღებულია დიდი დავლა, რომელშიც არის ათობით ქვემეხი, მრავალი ავტომანქანა, სალმარი მასალისა და სამხედრო ქონების დიდი საწყობები. წამოყვანილია ტყვეთა მნიშვნელოვანი რაოდენობა.

* * *

გომელის მიმართულებით ჩვენი ჯარები წარმატებით მიიწევდნენ წინ და გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებისაგან გაათავისუფლეს 260-ზე მეტი დასახლებული პუნქტი. მტერი, რომელიც მდინარე სნოვზე მოწყობილ გამაგრებულ პუნქტებს ეყრდნობოდა. შეუპოვარ წინააღმდეგობას გვიწევდა. ნ შენაერთის ნაწილებმა მდინარე სნოვი გადალახეს და გერმანელთა დაცვის რამდენიმე კვანძი დაიკავეს. გაელეტილია 700 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ტყვედ წამოყვანილია 200-მდე კაცი. სხვა შეაერთის ნაწილებმა დამე 25 კილომეტრით წაიწიეს და ქალაქ **სტაროდუბში** შეიჭრნენ. დღის განმავლობაში საბჭოთა ჯარებმა სასტიკი ბრძოლის შედეგად ქალაქი დაიკავეს, ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ მოწინააღმდეგის განადგურებული ნაწილების დევნას და ხელთ იგდეს დიდძალი დავლა და ტყვეები.

* * *

სმოლენსკის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს გერმანელთა უმნიშვნელოვანესი დასაყრდენი პუნქტი — ქალაქი **დემიდოვი**. მტერი შეუპოვარ წინააღმდეგობას გვიწევდა და ცდილობდა რადაც უნდა დასჯდომოდა შეენარჩუნებინა ქალაქი. მარტო ერთი დღის განმავლობაში გერმანელებმა 12 კონტრიერიში მოიტანეს, მაგრამ ვერ შესძლეს შეეკავებინათ საბჭოთა მებრძოლების შეტევითი სწრაფვა. დემიდოვისათვის ბრძოლაში განადგურებულია გერმანიის 256-ე ქვეითი დივიზია და მოწინააღმდეგის სხვა ნაწილები. გაელეტილია მტრის 8.000-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი. ტყვედ წამოყვანილია 300 კაცი და წამოღებულია დიდი დავლა. სხვა რაიონში ჩვენი ჯარები გარს შემოერტყნენ და მთლიანად გაელეტეს გერმანიის მე-5 ეგერთა ბატალიონი და გაანადგურეს გერმანიის 187-ე პოლკის 1 ბატალიონი. წამოღებულია დავლა, რომელშიც არის სხვადასხვა ყალიბის 25 ქვემეხი, „ფერდინანდის" ტიპის 2 თვითმავალი ქვემეხი, 23 ნაღმსატყორცნი, დიდძალი სალმარი მასალა და სხვა სამხედრო ქონება.

* * *

ჩრდილოეთის ფლოტის ავიაბომბდამშენებმა სროლა აუტეხეს მოწინააღმდეგის 8.000 ტონა წყალწყვილ ტრანსპორტს და დაანგრიეს იგი. სატორპედო კატერმა, რომელიც შემდეგ გაიგზავნა, იერიში მიიტანა ტრანსპორტზე და ჩასძირა იგი.

ნორვეგიის ჩრდილოეთ სანაპიროსთან საბჭოთა ტორპედოსანმა თვითმფრინავებმა იერიში მიიტანეს მოწინააღმდეგის გემთა ქარავანზე. რომელსაც თან მცველი ხომალდები და გამანადგურებელი თვითმფრინავები ახლდნენ. ჩაძირულია გერმანელთა ტრანსპორტი 12.000 ტონა წყალწყვილისა და 2 სადარაჯო ხომალდი. საჰაერო ბრძოლაში ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 9 თვითმფრინავი.

შავი ზღვის ფლოტის მოიერიშე მფრინავები და გამანადგურებლები თავს დაესხნენ ტამანის ნახევარკუნძულის ერთ-ერთ ნავსადგურს და ჩასძირეს მოწინააღმდეგის 2 სწრაფმავალი სადესანტო კარუანი. საჰაერო ბრძოლაში ჩამოგდებულია გერმანელთა 6 თვითმფრინავი.

* * *

ვილეიკის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა 13 სექტემბერს დიდ დასახლებულ პუნქტში განლაგებული გერმანელთა გარნიზონი გაანადგურა. პარტიზანებმა დასწვეს მოწინააღმდეგის ტანკი, ჯავშნიანი მანქანა და აიფეთქეს სალმარი მასალის საწყობი. სასტიკ ბრძოლაში გაელეტილია 80 ჰიტლერელი. წამოღებულია 12 ტყვიამფრქვევი და 90 შაშხანა. ვილეიკის პარტიზანული რაზმების ჯგუფმა 3 კვირის განმავლობაში ლიადგიდან გადაადგილ გერმანელთა 23 სამხედრო ეშელონი, რომლებიც ფრონტის ხაზისაკენ მიმართებოდნენ. მარცხის შედეგად დამტვრეულია 14 ორთქლმავალი, 140 ვაგონი და ბაქანი.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
22 სექტემბრის ოპერაციული ცნობა

ნოვოროსიისკის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა შეუპოვარი ბრძოლების შემდეგ აიღეს ქალაქი და ნავსადგური **ანაპა**, დაიკავეს აგრეთვე დიდი დასახლებული პუნქტები — **სუ-ფსეხი**, **ალექსეევკა** და **ანაპსკაია.**

ზაპოროჟიეს მიმართულებით ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ, წინ წაიწიეს 5-დან 10-მდე კილომეტრით და დაიკავეს 40 დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **ტერნოვკა**, **პერვომაისკოე**, **ნოვოგიგანტოვკა**, **ლიუბიმოვკა**, **ვასილიევკა**, **კავლოვსკი**, **ნოვო-უკრაინკა** (13 კილომეტრზე ზაპოროჟიეს ჩრდილო-აღმოსავლეთით), **ტარასოვკა** და რკინიგზის სადგურები—**სოფიევკა**, **იაიცევო** და **კირპოტინო.**

დნეპროპეტროვსკის მიმართულებით ჩვენი ჯარები წარმატებითი შეტევის განვითარებას განაგრძობდნენ, წინ წაიწიეს 10-დან 20-მდე კილომეტრით და აიღეს ქალაქი **ნოვო-მოსკოვსკი**, დაიკავეს აგრეთვე 90-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **მაიაჩკა**, **დეუხალოვკა**, **ვოდიანოე**, **ელენოვკა**, **ანდრეევკა**, **კაზნაჩეევკა**, **ნიკოლაევკა**, **ვოლნოე**, **ორლოვშჩინა**, **პესჩანკა**, **ოდინოკოვკა**, **ლოზოვატკა**, **აფანასიევკა**, **ვარვაროვკა** და რკინიგზის სადგურები — **ბუშინიხა** და **ორლოვშჩინა.**

პოლტავის მიმართულებით ჩვენი ჯარები შეტევის განვითარებას განაგრძობდნენ, წინ წაიწიეს 10-დან 18-მდე კილომეტრით და დაიკავეს 150-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის პოლტავის ოლქის რაიონული ცენტრები **შიშაკი**, **დიკანკა** და დიდი დასახლებული პუნქტები **ბოლშაია**, **ბუზოვა**, **ბალიასნოე**, **ვასილიევკა**, **სტასოვკა**, **პეტროვკა**, **ბეზრუჩკი**, **ბოლოვაჩი**, **მალოე პერეშჩეპინო**, **დრაბინოვკა**, **ვერხნიე პოლოგი**, **ჩაპაევო** და **ლივენსკოე.**

კიევის მიმართულებით ჩვენი ჯარები წარმატებითს შეტევას განაგრძობდნენ, წინ წაიწიეს 15-დან 20-მდე კილომეტრით და აიღეს ქალაქი **ოსტერი**, ქალაქი **პერეიასლავი**, ქალაქი **ზოლოტონოშა**, დაიკავეს აგრეთვე 180-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის პოლტავის ოლქის რაიონული ცენტრი **დრაბოვი**, ჩერნიგოვის ოლქის რაიონული ცენტრი **ნოვაია ბასანი**, კიევის ოლქის რაიონული ცენტრი **ბორზნა** და დიდი დასახლებული პუნქტები **კარაკილოვკა**, **ევმენკი**, **კრასავეო**, **ლიოტკი**, **სემიკოლკი**, **იასლოვკა**, **ოტტოროლუჩიე**, **სემიონოვკა**, **ვოიტოვეცი**, **ერკოვეცი**; **ვინინეცი**, **ველიკი ხუტორი**, **ბლაგოვეშჩენსკი** და **ვოზნესენსკი.**

გომელის მიმართულებით ჩვენი ჯარები წარმატებითს შეტევას განაგრძობდნენ, წინ წაიწიეს 10-დან 25-მდე კილომეტრით და აიღეს ქალაქი **პოჩეპი**, ქალაქი **მგლინი**, ქალაქი **სტაროდუბი**, დაიკავეს აგრეთვე 260-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები — **ბოლოტნია**, **ნიკოლაევკა**, **შუმაროვო**, **დიმოვკა**, **დოლგატოვო**, **ვისტრიკოვო**, **კარტუშინო**, **ბოლდოვკა**, **პრივალოვკა**, **ვოროგნოკი**, **ლუჟკი**, **კამენსკი**, **ხუტორი**, **ელინო**, **მისანი**; **კუიბიშევი** და **ანდრეევკა.**

როსლავლის მიმართულებით ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ, წინ წაიწიეს 3-დან 4-მდე კილომეტრით და 80-ზე მეტი დასახლებული პუნქტი დაიკავეს.

სმოლენსკის მიმართულებით ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ, ცალკეულ უბნებზე წინ წაიწიეს 3-დან 4-მდე კილომეტრით და დაიკავეს 30-ზე მეტი დასახლებული პუნქტი.

სმოლენსკის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა შეუპოვარი ბრძოლების შემდეგ აიღეს ქალაქი **დემიდოვი**, დაიკავეს აგრეთვე 50-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები — **სავოსტიე**, **ბორკი**, **სკუბრევა**, **ნიკოლცი**, **ფოუნია**, **ბოლშოე არეტოვო**, **ნოვი პოჩინოკი**, **ლოგოვოვო**, **ოკატოვო** და **სპასკ-ლიპკი.**

21 სექტემბრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დაანგრიეს და მოსპეს გერმანელთა 24 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 40 თვითმფრინავი.

*

ნოვოროსიისკის ჩრდილო-დასავლეთით მოწინააღმდეგე მაღლობებს ეფარება და შეუპოვარ წინააღმდეგობას გვიწევს. ჩვენი ჯარები გერმანელთა წინააღმდეგობის კვანძებს სპობდნენ, ქალაქ ანაპას მიადგნენ და გააფთრებული ბრძოლის შემდეგ დაიკავეს იგი. ხელთ ვიგდეთ 49 ქვემეხი, 180 ტყვიამფრქვევი, 77 ნაღმსატყორცნი, 4.000 შაშხანა და ავტომატი, 40 სხვადასხვა საწყობი, 200.000 ვაზნა, 25.000 ყუმბარა, 100 კილომეტრი სატელეფონო კაბელი და სხვა დავლა. ტყვედ წამოყვანილია 200-ზე მეტი კაცი. სხვა უბანზე ჩვენმა ჯარებმა რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს, რომელთათვის ბრძოლებშიც გაელეტილია მტრის 1.200 ჯარისკაცი და ოფიცერი.

ჩვენი ავიაცია მოწინააღმდეგის თავმოყრილ ჯარებს ურტყამდა. ერთი დასახლებული პუნქტის რაიონში ნ ნაწილის მფრინავებმა გერმანელთა ორ ბატალიონამდე ჯარი გაელეტეს და დაამტვრიეს 120 ავტომანქანა და 15 საველე ქვემეხი.

* * *

დნეპროპეტროვსკის მიმართულებით ჩვენი ჯარები ბრძოლით მიიწევდნენ წინ. გვარდიის ნ შენაერთის მებრძოლებმა მდინარე სამარა გადალახეს, მის გასწვრივ წაიწიეს, სამხრეთისაკენ და ქალაქ **ნოვო-მოსკოვსკის** მისადგომებთან გავიდნენ. დილაადრიან ქალაქს მიადგნენ აგრეთვე საბჭოთა ნაწილები, რომლებიც რკინიგზით ეტევდნენ სადგურ ორლოვშჩინიდან.

დღის დამლევს ჩვენმა გვარდიელმა მებრძოლებმა გადამწყვეტი იერიშით აიღეს რკინიგზის კვანძი და ქალაქი **ნოვო-მოსკოვსკი**. მტერს დიდი ზარალი მოუვიდა. წამოღებულია დიდი დავლა და წამოყვანილია მრავალი ტყვე. სხვა უბანზე ნ შენაერთის ნაწილებმა, რომელნიც გერმანელებს მისდევდნენ, ხელთ იგდეს 23 ქვემეხი, 80 ტყვიამფრქვევი, 4 საწყობი სალმარი მასალა, 7 საწყობი სურსათი და 5 საწყობი საწვავი.

* * *

პოლტავის მიმართულებით ნ შენაერთის ნაწილებმა ორ ადგილს გადალახეს წყლის ზღუდე და ბრძოლა გააჩაღეს დიდი დასახლებული პუნქტის მისადგომებთან. სხვა უბანზე საბჭოთა მებრძოლებმა, რომელნიც ბრძოლით მიიწევდნენ წინ, 1.000-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი გაელეტეს. ხელთ ვიგდეთ „ვეფხვის" ტიპის 6 ტანკი, „ფერდინანდის" ტიპის 8 თვითმავალი ქვემეხი, 31 საველე ქვემეხი, 2 საწყობი სალმარი მასალა და საწყობი დიდძალი მარცვლეულით.

* * *

კიევის მიმართულებით ჩვენი ჯარები წარმატებითს შეტევას განაგრძობდნენ. ერთი დღის ბრძოლაში გაელეტილია 2.000-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, დაზიანებული და დამწვარია მოწინააღმდეგის 16 ტანკი. საბჭოთა ტანკისტებმა სწრაფად წაიწიეს წინ და დაიკავეს **კიევის** ოლქის ქალაქი **პერეიასლავი**. გვარდიის ნ შენაერთის ნაწილებმა სასტიკი ბრძოლის შემდეგ აიღეს ქალაქი და რკინიგზის კვანძი **ზოლოტონოშა**. წამოღებულია დიდი დავლა, რომელშიც არის ათობით ქვემეხი, მრავალი ავტომანქანა, სალმარი მასალისა და სამხედრო ქონების დიდი საწყობები. წამოყვანილია ტყვეთა მნიშვნელოვანი რაოდენობა.

* * *

გომელის მიმართულებით ჩვენი ჯარები წარმატებით მიიწევდნენ წინ და გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებისაგან გაათავისუფლეს 260-ზე მეტი დასახლებული პუნქტი. მტერი, რომელიც მდინარე სნოვზე მოწყობილ გამაგრებულ პუნქტებს ეყრდნობოდა. შეუპოვარ წინააღმდეგობას გვიწევდა. ნ შენაერთის ნაწილებმა მდინარე სნოვ

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მილიციის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მილიციის ორგანოებში სანიმუშო მუშაობისათვის დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით შემდეგი მუშაკები:

1. ალავიძე გიორგი იასონის-ძე
2. ალბორაშვილი გიორგი ციცოს-ძე
3. ანთელავა ანთიმოზ კირილეს-ძე
4. ასლანიკაშვილი ნიკოლოზ იასონის-ძე
5. ბაგიევი პავლე რუბენის-ძე
6. ბასილია ივანე სილოვანის-ძე
7. ბოგდანოვი ვასილ იაკობის-ძე
8. გაგუა შალვა ბესარიონის-ძე
9. გაგლოშვილი თომა ანდრიას-ძე
10. გიორგაძე გიორგი სეგერიანეს-ძე
11. გედევანიშვილი გიორგი იოსების-ძე
12. გვაზავა სერგი კალისტრატეს-ძე
13. ვალიევი ნიკოლოზ დავითის-ძე
14. დარჩია ტარასი ელისეს-ძე
15. დომიანიძე ალექსანდრე მიხეილის-ძე
16. დრაშოვი პეტრე ვასილის-ძე
17. თოდრაძე თეოფილე ვლადიმერის-ძე
18. კალანდია ლავრენტი ივანეს-ძე
19. კორკოსაშვილი დიმიტრი ალექსის-ძე
20. კობახიძე ალექსანდრე სიჩინოს-ძე
21. კობიაშვილი სპირიდონ ვასილის-ძე
22. კოკაია ავქსენტი მოსეს-ძე
23. ლომაია ნიკოლოზ ილიას-ძე
24. მაზიანი გიორგი არკადის-ძე
25. მათიაშვილი გრიგოლ ვასილის-ძე
26. მანელაშვილი ალექსანდრე ვასილის-ძე
27. მანსვეტოვი კონსტანტინე დავითის-ძე
28. მესროფოვი ყაზარ პეტრეს-ძე
29. მინდიაშვილი ზაქარია პეტრეს-ძე
30. მჭედლიშვილი არსენ ივანეს-ძე
31. ნარმანია გაგალ ხესჩერის-ძე
32. ნერუჩევი გიორგი გერმანეს-ძე
33. ნუქუსაძე ნიკოლოზ მიხეილის-ძე
34. ოგანეზოვი ნიკოლოზ გიორგის-ძე
35. ოდიშარია ვარლამ მათეს-ძე
36. პაიჭაძე ივანე ვლადიმერის-ძე
37. პაპავა ორესტი გიორგის-ძე
38. პაპასკუა კირილე გოჯაბის-ძე
39. ელერტუხინი ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე
40. რურუა ევგენი ბათუს-ძე
41. სანაკოევი იასონ როსტომის-ძე
42. სარი ალექსი პავლეს-ძე
43. სვანიძე ლონგინოზ სოფრომის-ძე
44. სოკოლოვი ოლოა ვასილის-ასული
45. სუბოვი ვიაჩესლავ ალექსანდრეს-ძე
46. ტერიაევი ნიკოლოზ ივანეს-ძე
47. ტუზოვი ალექსანდრე პეტრეს-ძე
48. ურუშაძე ავქსენტი სილიბისტროს-ძე
49. ფილიევი გიორგი ივანეს-ძე
50. ქარცივაძე დიმიტრი ნიკოლოზის-ძე
51. ქიზიყურაშვილი სამსონ თეოდორეს-ძე
52. ყურაშვილი გიორგი ანდრიას-ძე
53. შენგელია ვარლამ ანტონის-ძე
54. შუბლაძე ალექსანდრე გრიგოლის-ძე
55. შუკევიჩი სიმონ ივანეს-ძე
56. ჩიჩელაშვილი ალექსანდრე სოლომონის-ძე
57. ჩოგოვაძე სეგერიან მაქსიმეს-ძე
58. ცერცვაძე გრიგოლ შალვას-ძე
59. ჭანტურია ანდრია ექვთიმეს-ძე
60. ხინთიბიძე ჩალო არსენის-ძე
61. ხრუსტალევი მარიამ ნიკოლოზის-ასული
62. ხუხუნაშვილი ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე
63. ჯანჯღავა დავით დიმიტრის-ძე
64. ჯიშონაია მარკოზ გალას-ძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. სტურუა
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი

1943 წ. 23 სექტემბერი. თბილისი.

აფხაზეთის თამბაქოს პლანგაციებში

სოხუმი („კომუნისტის“ საკ. კორ.). აფხაზეთის მეთამბაქოე კოლმეურნეობებში წელს გაკეთებით უფრო ორგანიზებულად სწარმოებს თამბაქოს უხვი მოსავლის აღება. მოწინავე კოლმეურნეობებმა, სადაც ფართოდ იყენებენ ცნობილი ნოვატორის გ. ბასტანჯიანის მეთოდს, შესანიშნავ ფარმატებებს მიაღწიეს არა მარტო მოსავლის აღების, არამედ სახელმწიფოსათვის თამბაქოს ვადაზე ადრე ჩაბარების საქმეში. გუდაუთის რაიონის ახალი სოფლის სტალინის სახელობის ახლად დასახლებული კოლმეურნეობის მეთამბაქოე ბრიგადებმა და რგოლებმა უკვე შეასრულეს თამბაქოს შეტეხისა და ჩაბარების გეგმა. კოლმეურნეობას ჯერ კიდევ 28 ავგისტოსათვის გადამეტებით ჰქონდა შესრულებული თამბაქოს შეტეხის გეგმა, ხოლო 15 სექტემბრისათვის თამბაქოს ჩაბარების წლიური სახელმწიფო დავალება მან 118,5 პროცენტით შეასრულა.

წარმატება მოიპოვეს გულრიპშის რაიონის კოლმეურნეობა „უესილმის“ მეთამბაქოე კოლმეურნეებმაც. მათ 104 პროცენტით შეასრულეს თამბაქოს შეტეხის გეგმა, ხოლო 15 სექტემბრისათვის თამბაქოს ჩაბარების სახელმწიფო დავალება. თამბაქოს მოსავლის აღება ორგანიზებულად მიმდინარეობს ოჩამჩირის რაიონის კოლმეურნეობებშიც. სოფ. ილორის ბერიას სახელობის კოლმეურნეობა, სოფ. აკვასკის კოლმეურნეობა „წითელი აკვასყა“, მოქვის კოლმეურნეობა „წითელი მოქვი“ ამთავრებენ თამბაქოს მოსავლის აღებას.

იმ კოლმეურნეობებში, რომლებმაც გადამეტებით შეასრულეს თამბაქოს შეტეხის გეგმები, გაიშალა მუშაობა თამბაქოს მეორე მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის.

წითელი არმიის სახელოვანი გამარჯვებების პასუხად აფხაზეთის ასსრ მეთამბაქოე კოლმეურნეობებმა იკისრეს მიმდინარე წელს ვადაზე ადრე და გადამეტებით შეასრულონ თამბაქოს ჩაბარების სახელმწიფო გეგმები. ისინი ენერგიულად იბრძვიან ამ საპატიო ვალდებულების განაღდებისათვის.

ბ. მერკვილაძე

დაიწყო საშემოდგომო თესვა

წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობებმა დაიწყეს საშემოდგომო თესვა. დათესილია 600 ჰექტარზე მეტი ხორბალი. ხვნა-თესვაში წინ არიან სოფ. ზემო-მაჩხაანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა, დაბა წითელწყაროს კოლმეურნეობა „კომუნარი“, სოფ. ჯაფარიძის კოლმეურნეობა „შრომა“. ამ კოლმეურნეობამ მარტო ცოცხალი გამწევი ძალით მოხნა 243 ჰექტარი, დასთესა 150 ჰექტარი საშემოდგომო ხორბალი. კოლმეურნეობის პირველი ბრიგადა (ბრიგადირი მ. ყოჩიაშვილი) და კოლმეურნეები ვ. ტოკლიკაშვილი, ნ. ლეკაშვილი, დ. ლეკაშვილი ხვნის დღიურ დავალებებს გადაჭარბებით ასრულებენ.

შ. მოლაშვილი

• • •

საგარეჯოს რაიონში დაიწყო საშემოდგომო კულტურების თესვა. ხვნა-თესვაში წინ არიან სოფ. ნინოწმინდის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა და კოლმეურნეობა „ახალი შრომა“.

ნ. რევაზოვა

ტრაქტორების რემონტის გეგმა ვადაზე ადრე შეასრულეს

ზესტაფონი („კომუნისტის“ საკ. კორ.). ზესტაფონის მტყ-ის კოლექტივმა (დირექტორი ამხ. სვედელიძე) ვადაზე ერთი თვით ადრე დაამთავრა ტრაქტორებისა და მისაბმელი იარაღების რემონტი. ტრაქტორების რემონტზე განსაკუთრებული ენერგიით მუშაობდა ბრიგადა, რომელსაც გამოცდილი ტრაქტორისტი ამხ. გ. გამყრელიძე ხელმძღვანელობს. ტრაქტორები მზად არიან მზრალად ხვნისათვის.

„კომუნისტის“ წერილების კვალდაკვალ

„თვალისამხილველნი ლანჩხუთის რაიონიდან“

ამ სათაურით გაზ. „კომუნისტის“ 4 სექტემბრის ნომერში დაიბეჭდა კორესპონდენცია, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ლანჩხუთის რაიონის ზოგიერთი კოლმეურნეობანი უხეშად არღვევენ ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის წესებს, ნელი ტემპებით ჭკრეფენ ჩაის ფოთოლს, გაკრეტილებული იყო ნიგვზიანის ჩაის ფაბრიკის ხელმძღვანელთა ცუდი მუშაობა და სხვ.

ამ წერილთან დაკავშირებით საქ. კ. პ. (ბ) ლანჩხუთის რაიკომის მდივანი ამხ. გ. შავდია გვატყობინებს, რომ კორესპონდენციაში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა და კრიტიკა სინამდვილეს შეეცავს.

ჩაის ფოთლის კრეფის წესების დარღვევისა და ჩაის ფაბრიკაში უხეში ფოთლის ჩაბარების ცდისათვის, ჩაის პლანტაციების დაუმუშავებლობისათვის სოფ. გულიანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. კუპრაძე მოხსნილია სამუშაოდან. შრომისუნარის კოლმეურნეობის თავმჯდომარე პ. ტყეშელა გამოიცხადა საყვედური. ჩაის მწვანე ფოთლის გადამუშავების შეფერხებისა და სამი ტონა ჩაის გაფუჭებისათვის ნიგზიანის ჩაის ფაბრიკის დირექტორს გ. სულაბერიძეს გამოეცხადა სასტიკი საყვედური საღრიცხვო ბარათში შეტანით, უფროს ტექნოლოგს ტ. გრიკელიძეს გამოეცხადა საყვედური. გულიანისა და შრომისუნარის ჩაის მიმღები პუნქტების გამგეები გუჯაბიძე და ბაბუხატია მოიხსნენ სამუშაოდან და მათი საქმე გადაეცა პროკურატურას პასუხისგებაში მისაცემად. პარტიაიკომმა დასახა მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებანი ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

1943 წ. 23 სექტემბერი. თბილისი.

ჩერჩილის გამოსვლა თემთა პალატაში

ლონდონი, 21 სექტემბერი (საკადესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ჩერჩილმა თემთა პალატაში სიტყვა წარმოსთქვა და განაცხადა: „მე არასოდეს არ ვთვლიდი აფრიკის ოპერაციას გერმანელებზე საფრანგეთში ან ჰოლანდიასა და ბელგიაში ლა-მანშით უშუალო თავდასხმის შემცველად. პირიქით, ამ ახალი ფრონტის გახსნა ხმელთაშუა ზღვაში მუდამ იგულისხმებოდა, როგორც არსებითი წანამძღვარი გერმანიისა და მის მიერ დამონებული ევასალური სახელმწიფოების ჯგუფის წინააღმდეგ მთავარი იერიშისათვის“.

ჩერჩილი შეჩერდა მოკავშირეთა ჯარების ოპერაციებზე ჩრდილოეთ აფრიკაში და აღნიშნა მთელი რიგი გამორჯვებანი, რომლებიც მოკავშირეთა არმიებმა მოიპოვეს. ჩერჩილმა დაუმატა, რომ, გარდა ამისა, რუსების არმიებმა წინ წაიწიეს ასობით მილით უზარმაზარ ფრონტზე და „მიერეკებიან გერმანელთა ურდოებს, რომელთაც საშინელი ზარალი მოსდიოთ“. ჩერჩილი შეეხო საჰაერო ომს და თქვა, რომ მარტო ინგლისის ავიაციამ, სსრ კავშირისა და ა. შ. შტატების ავიაციის ჩაუთვლელად, აამოქმედა თითქმის 50 პროცენტით მეტი თვითმფრინავი პირველი ხაზისა, ვიდრე გერმანიამ. გერმანიის სამხედრო მრეწველობის მრავალრიცხოვანი ცენტრების დანგრევა კიდევ უფრო დიდი მასშტაბებით გრძელდება.

ჩერჩილმა განაცხადა, რომ ოთხი უკანასკნელი თვის განმავლობაში ატლანტის ოკეანის ჩრდილოეთ რაიონში მტერს არ ჩაუძირავს არც ერთი სავაჭრო გემი, ვერც ერთი გემის ჩაძირვა ვერ მოახერხა მან სუბმარინის თხუთმეტი დღის მანძილზე მსოფლიოს ვერც ერთ სხვა ნაწილში.

ჩერჩილმა განაცხადა, რომ მოკავშირეთა ჯარებმა იტალიაში ინიციატივა დაიბრუნეს და ახლა შეუძლიათ ჩრდილოეთისაკენ წაიწიონ წინ ფართო ფრონტით. „მეორე ფრონტი,—თქვა მან,—არსებობს, როგორც მტრის ძირითადი საზრუნაი. იგი ჯერ კიდევ არ შესდგომია საქმეს. მაგრამ ეს მომენტი დადგება...“.

ჩერჩილმა განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობამ გამოსთქვა სურვილი ხმელთაშუა ზღვაში სამოკავშირეთაშორისო კომისიის შექმნის შესახებ იმ მიზნით, რათა განხილულ იქნას ხმელთაშუა ზღვის პრობლემები მათი წარმოშობის მიხედვით. დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლად ამ კომისიაში იქნება ჰაროლდ მაკმილანი. დიდი ბრიტანეთის, შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების (ან მათი წარმომადგენლების) მოსალოდნელ კონფერენციაზე დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელი იქნება იდენი. შემდეგ ჩერჩილმა თქვა: „მე იმედი მაქვს აგრეთვე, რომ ამის შემდეგ, ჯერ კიდევ წლის ბოლომდე, შესდგება შეხვედრა რუზველტსა, სტალინსა და ჩემს შორის“.

ჩერჩილმა დაუმატა, რომ საფრანგეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტი წარმოდგენილი იქნება ხმელთაშუა ზღვის პრობლემების კომისიაში და თანასწორი უფლებით ითანაშრომლებს სამ დიდ სახელმწიფოსთან, რომლებიც ომს ეწევიან გერმანიასთან ევროპაში.

ბალოლიოს მიმართვა იტალიელი ხალხისადმი

ლონდონი, 21 სექტემბერი (საკადესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს მარშალ ბადოლიოს მიმართვას იტალიელი ხალხისადმი.

„გერმანელებს, — ნათქვამია მიმართვაში, — სურთ ვნება მოგვიტანონ. ჩვენ პირისპირ უნდა შევხვდეთ ამ განსაცდელს და გადავლახოთ იგი, როგორც ყველაზე დიდი განსაცდელი. ჩვენ მას გადავლახავთ. ჩვენი უდავო ვალია—ინგლისელებთან და ამერიკელებთან მხარდამხარ ვიბრძოლოთ გერმანელების წინააღმდეგ და ზოგიერთი უგუნური იტალიელის წინააღმდეგ, რომელნიც ამიერიდან ღირსნი არ არიან ატარონ ეს სახელი, რომელთაც თავიანთი თავი გერმანელებს ჩააბარეს.

ამ ომში გერმანელების ნება-სურვილით და მხოლოდდამხოლოდ მათ სასარგებლოდ და მათი ინტერესებისათვის იმდენად ბევრი სისხლია დაღვრილი, რომ ჩვენ ვერ დავუშვებთ—ამბუნად ავგიგდოთ და ისე გვექცეოდნენ, როგორც მონებს. დღეს ჩვენ ყველასათვის ერთადერთი ლოზუნგია: „ძირს გერმანელები!“

ბადოლიო მოუწოდებს იტალიელებს ყოველგვარი საშუალებით ებრძოლონ გერმანელებს: მოშალონ გერმანელთა საკომუნიკაციო ხაზები, აიფეთქონ ხიდები, თავს დაესხნენ გერმანელთა რაზმებს, მოსპონ მათი საჭურველი და, უმთავრესად კი, არ შესწყვეტონ ბრძოლა.

ბალოლიოს ადგილსამყოფელი

ლონდონი, 19 სექტემბერი (საკადესი). მოკავშირეთა ჩრდილოეთ აფრიკის ჯარების შტაბი ოფიციალურად იუწყება, რომ მარშალი ბალოლიო ამჟამად იმყოფება იტალიის ერთ-ერთ ადგილსამყოფელზე, რომელიც დაკავებულია მოკავშირეების მიერ.

ინგლისის ავიაციის გააფთრებული თავდასხმა ჰანოვერზე

ლონდონი, 23 სექტემბერი (საკადესი). ავიაციის სამინისტროს ცნობით, 22 სექტემბერს ღამით ინგლისის ბომბდამშენთა ფრიად დიდმა შენაერთმა გააფთრებული თავდასხმა მოახდინა გერმანიის ქალაქ ჰანოვერზე. დაბომბვამ ოცდაათ წუთს გასტანა ბევრგან აღინიშნული დიდი ხანძარი. სხვა შენაერთებმა დაბომბეს ოლდენბურგი და ემდენი.

გამანადგურებელმა ავიაციამ იერიში მიიტანა მტრის აეროდრომებზე ჰოლანდიასა და ჩრდილო-დასავლეთ გერმანიაში.

ამერიკის ბომბდამშენები „მფრინავი სიმაგრეები“ დღეს დილით თავს დაესხნენ სანავსადგურო ნაგებობებს ნანტსა და ვან-მეკონში.

გერმანელებმა ჩრდილოეთ იტალიაში სამხედრო წესები შემოიღეს

ლონდონი, 18 სექტემბერი (საკადესი). როგორც ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო იუწყება, შვეიცარიის რადიო ცნობებით, გერმანელებმა მთელ ჩრდილოეთ იტალიაში სამხედრო წესები გამოაცხადეს. მილანში გერმანელთა სამხედრო კომენდანტის მიერ გამოცემული ბრძანების თანახმად, ჩრდილოეთ იტალიის მთელ სამრეწველო საწარმოებზე გერმანული კანონმდებლობა ვრცელდება. ყველა სამრეწველო და სავაჭრო საწარმოთა მუშამოსამსახურეებს ნაბრძანები აქვთ დაუყოვნებლივ განაახლონ მუშაობა. გერმანელებმა ყოველგვარი რადიოგადაცემის მოსმენა აკრძალეს. გამოცხადდა აგრეთვე, რომ აკრძალული იყო გაფიცვები.

იტალიელი ოფიცრების გაქცევა თურქეთში

ლონდონი, 19 სექტემბერი (საკადესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, კაიროს ბერძენთა წრეების ცნობებით, ასობით იტალიელმა ოფიცრებმა და ჯარისკაცებმა დასტოვეს დოდეკანეზის კუნძულები და ეგეოსის ზღვის ბერძენთა კუნძულები და თურქეთის ნაპირებზე ჩავიდნენ. დღემდე თურქეთის ნავსადგურებში იტალიელთა 17 გემი მივიდა.

თურქეთსა და ეირეში იტალიის დიპლომატიური წარმომადგენლობათა განცხადება

ლონდონი, 21 სექტემბერი (საკადესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, საფრანგეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის შინაგან საქმეთა კომისარმა ანდრე ფილიპმა ალჟირში სიტყვა წარმოსთქვა რადიოთი. თავის სიტყვაში ფილიპმა განაცხადა, რომ საფრანგეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტმა გადასწყვიტა, როგორც კი გარემოება შესაძლებელს გახდის, მიაბდინოს მართლმსაჯულების აქტი მარშალ პეტენის და ყველა იმათ მიმართ, ვინც მონაწილეობდა ან მონაწილეობს მის ცრუმთავრობაში, აგრეთვე იმათ მიმართ, ვინც კაპიტულაცია მოახდინა, ხელს აწერდა კონსტიტუციას, თანამშრომლობდა ანდრე ფილიპი სთქვა: „ამ მომენტიდან მოკიდებული, თქვენ ერის სამსახურისათვის მობილიზებულად უნდა ჩასთვალოთ თქვენი თავი. ვიშის ბრძანების შემსრულებლებს არავითარი გამართლება არა აქვთ. თქვენ უნდა ემსახუროთ საფრანგეთს, მხოლოდ საფრანგეთს“.

იმ ფრანგ მოხელეთა საქმიანობის გამოძიება. რომლებიც ხელს უწყობდნენ მფრის

ლონდონი, 19 სექტემბერი (საკადესი). აფის სააგენტო გადმოგვცემს, რომ საფრანგეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტთან შექმნა კომისია ყველა იმ ფრანგ მოხელეთა, არჩეულ მოღვაწეთა და ადმინისტრატიულ მუშაკთა საქმიანობის გამოსაძიებლად, რომლებიც თავისი მოქმედებით 1940 წლის ივნისიდან ხელს უწყობდნენ მტრის ღონისძიებებს, არღვევდნენ საფრანგეთის საკონსტიტუციო ინსტიტუტებს ანდა ხელს უშლიდნენ გაერთიანებულ ერთა და იმ ფრანგთა მოქმედებას, რომელნიც მონაწილეობდნენ მტრისადმი წინააღმდეგობის გაწევაში.

უცხოეთის ქრონიკა

ლავალის ბრძანებით საფრანგეთის პოლიციას უფლება მიენიჭა თავისი შეხედულებისამებრ იარაღი გამოიყენოს ყოველი ფრანგის წინააღმდეგ, რომელიც მხილებულ იქნება თავარობის საწინააღმდეგო რაიმე მოქმედებაში.

უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ქალაქიდან ევაკუირებულ უნდა იქნას 15 წლამდე ასაკის ყველა ბავშვი. (საკადესი).

საომარი მოქმედება იტალიაში

ლონდონი, 22 სექტემბერი (საკადესი). მოკავშირეთა ჩრდილოეთ აფრიკის ჯარების შტაბი იუწყება, რომ ამერიკის მე-5 არმიამ თავისი ძალების გადაჯგუფებას და წინსვლას განაგრძობს. დაკავებულია ქალაქები სან-ჩიპრიანო, პიჩენტინო, მონტეკორვინო-როველა და კამპანია.

ინგლისის მე-8 არმიამ ქალაქი ბონტენტინა დაიკავა.

20 სექტემბერს ღამით მოკავშირეთა თვითმფრინავებმა იერიში მიიტანეს გზებზე და მტრის ტრანსპორტზე ბრძოლების რაიონში.

24 ბომბდამშენი თავს დაესხა ლიგორნოს და ბასტიას (კორსიკის ჩრდილოეთი ნაწილი).

ლონდონი, 23 სექტემბერი (საკადესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, „მოკავშირეთა ჯარები განაგრძობენ წინსვლას დაფაგეტ ფალეა ქალაქებიდან ჯენტილეა და ჩიერონა. მოკავშირეთა ავიაცია განაგრძობდა თავდასხმებს მტრის გზებსა, ხიდებსა, კომუნიკაციების კვანძებსა, მოტოტრანსპორტსა და საწყობებზე.

ბრძოლები კორსიკაზე

ლონდონი, 22 სექტემბერი (საკადესი). რეიტერის სააგენტოს ცნობით, გუშინ კორსიკაზე გრძელდებოდა ფრანგთა სადესანტო რაზმების და იტალიელთა ნაწილების ბრძოლა გერმანელების წინააღმდეგ. ფრანგმა პარტიზანებმა, რომელნიც კორსიკაზე მოქმედებენ, მნიშვნელოვანი რაოდენობით მიიღეს საჭურველი და საფრანგეთის ჯარებს შეუერთდნენ.

ლონდონი, 23 სექტემბერი (საკადესი) როგორც ოფიციალურად იუწყებიან, კორსიკაზე მოქმედი ფრანგთა ჯარები და პარტიზანული რაზმები განაგრძობენ მტრის შეებოლვებას, რომელიც უკუდგებულია ბონიფაჩო-პორტო-ვეკიოს ხაზიდან. უკანასკნელი დღეების განმავლობაში გერმანელებმა კორსიკაზე დაჰკარგეს 1.000-ზე მეტი კაცი მოკლულთა და რამდენიმე ასეული ტყვეთა სახით.

ფრანგთა ნაწილებთან და პარტიზანებთან ერთად იბრძვის ამერიკელთა სადესანტო ნაწილი.

რეიტერის სააგენტოს ცნობით, კორსიკელმა პარტიზანებმა დაიკავეს ქალაქები სარტენი და კორტი, რომლებიც ბუნებრივ მოკავშირეთა ჯარებზე მდებარეობენ. კორსიკის მთელი დასავლეთი ნაწილი უკვე ფრანგთა ხელშია.

სარწმუნო ცნობებით, საფრანგეთის გენერალ გერმანელთა ეკიპაჟებით მარსელიდან თითქმის უტვირთოდ გავიდნენ კორსიკისაკენ ალბათ, იმისათვის, რომ იქიდან გერმანელთა ჯარები გაიყვანონ.

მოკავშირეთა ავიაციის თავდასხმები გერმანელთა ბაზებზე საბერძნეთში და ეგეოსზე

ლონდონი, 22 სექტემბერი (საკადესი). მოკავშირეთა ახლო აღმოსავლეთის სამხედრო-საჰაერო ძალების შტაბი იუწყება, რომ 20 სექტემბერს ღამით ინგლისის ავიაგამანადგურებელმა-ბომბდამშენებმა იერიში მიიტანეს ათენს ახლო მდებარე ბეროდრომებზე, ჰერაკლიონში (კუნძული კრეტა) და მარიტაკეში (როდოსი). შემჩნეულ იქნა ბომბების აფეთქებანი მიწაზე მდგომ თვითმფრინავთა შორის.

პროფაშისტების დაპატიმრება ალჟირში

ნიუ-იორკი, 18 სექტემბერი (საკადესი). იუნაიტედ პრესის სააგენტო ალჟირიდან იუწყება, რომ სახელმწიფოს წინააღმდეგ მმართველი პროფაშისტური საქმიანობისათვის დაპატიმრებული არიან ხილბოსტნეულის სანდრატი თავმჯდომარე დრანინი, ეგზეკუტიული „სამფერადოვანი ლეგიონის“ ყოფილი მეთაური ალჟირის პროვინციებში გენერალი ბლანი და ცენტრალური ელექტროსადგურის მთავარი ინჟინერი ტუშე.

არაღეგალური სტამბები ჰიტლერულ გერმანიაში

ჟენევა, 16 სექტემბერი (საკადესი). აქ მოღებული ცნობებით, ჰიტლერული ხელისუფალნი მეტად შეშფოთებულ არიან იმით, რომ გერმანიაში სულ უფრო ფართოდ ვრცელდება არალეგალური გაზეთები. გერმანული ცნობებითაც კი, გერმანიაში 100-მდე არალეგალური სტამბა მუშაობს. ასინი უშვებენ ფურცლებსა და გაზეთებს, რომლებიც მოუწოდებენ ჰიტლერიზმისა და ომის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. წელს გერმანიაში სპეციალური განყოფილებაც კი შეიქმნა, რომლის ამოცანასაც შეადგენს ამ არალეგალური სტამბების მაკვლევა და მოსპობა. მაგრამ ჰიტლერელ პოლიციელ ხელისუფალთა ოფიციალური განცხადებების მიხედვით, დღემდე გესტაპომ მოახერხა აღმოეჩინა მხოლოდ ორი სტამბა, რომლებიც ლაიპციგში მუშაობდნენ.

მინსკში მოკლეს ჰიტლერელი საგრაპი კუბე

ჟენევა, 22 სექტემბერი (საკადესი). ბერლინში ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ მინსკში გუშინღამ მოჰკლეს გერმანიის „გენერალური კომისარი“ ბელორუსიაში კუბე. რომელიც ცნობილია, კუბემ თავის სისასტიკისა და ძარცვა-გლეჯვით ერთ-ერთი უველაზე სასტიკი ჰიტლერელი ჯალათის სახელი დაიმსახურა ბელორუსს მოსახლეობაში.

პირობები არის, გეგმა უნდა შესრულდეს!

ჭიათურა („კომუნისტის“ საკ. კორ.). ჭიათურის მარგანტრესტმა აგვისტოში ფრონტსა და ქვეყანას რამდენიმე ასეული ტონა მარგანეცი დააკლო. ჩამორჩენა სექტემბერშიც გრძელდება. ვერც ერთი მაღარო ვერ ასრულებს მარგანეცის ამოღებისა და „სასვონლო პროდუქციის დამზადების გეგმებს. ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს კოლექტივიც, რომელმაც გადაჭარბებით შეასრულა აგვისტოს გეგმა, ჩამორჩა სექტემბერში. ჩამორჩენის ერთ-ერთ მიზეზად ახალმოსულ მუშათა დაბალ კვალიფიკაციას ასახელებენ. ეს მართლაც ყურადსაღებია. მაგრამ განა ახალმოსულთა საწარმოო სწავლება და მათი ყოველმხრივი აღზრდა თვით წარმოების მეთაურებზე არ არის დამოკიდებული? „ახლა უკვე დადასტურებულია, რომ ის ახალმოსული მუშა, რომელსაც კარგად ასწავლიან, გულისხმიერად ეხმარებიან, სწრაფად დაეუფლა კვალიფიკაციას და მარგანეცის გამოღების გეგმასაც გადაჭარბებით ასრულებს. მაგრამ, როცა ახალმოსულთა თითქმის უმრავლესობა გეგმებს ვერ ასრულებს, ეს პირველ რიგში საწარმოთა ხელმძღვანელების ცუდი მუშაობის მაჩვენებელია.

ახალმოსულ მუშათა დიდი უმრავლესობა ჩაბმული არ არის სოციალისტურ შეჯიბრებაში. ეს განსაკუთრებით ითქმის სტალინის, კაგანოვიჩის და ლენინის სახელობის მაღაროებზე. სტალინის სახელობის მაღაროს მუშათა მხოლოდ მესამედია ჩაბმული სოციალისტურ შეჯიბრებაში. კაგანოვიჩის სახელობის მაღაროს ახალმოსულთა 221 მუშიდან კი სექტემბრის პირველი რიცხვებისათვის არც ერთი არ იყო ჩაბმული სოციალისტურ შეჯიბრებაში. ვინც ჩაება შეჯიბრებაში, მათი ხელშეკრულებანი და ვალდებულებანი ზერელე და ფორმალური ხასიათისაა. სტალინის სახელობის მაღაროს მუშამ ამხ. ზ. მარგველაშვილმა ასეთი ვალდებულებები აიღო: სიტყვა არ შეუბრუნოს ცვლის უფროსს, არ გააჯავრონს სამუშაო, დაესწროს საწარმოო თათბირებს—არც მეტი. არც ნაკლები, ასეთი მაგალითები კი უამრავია. ამას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ პროფესიული ორგანიზაციები.

ახალმოსულთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზეც ცოტას ზრუნავენ. არ იყენებენ ყველა შესაძლებლობას, რაც ჩვენ ხელთ არის და, რაც მაღაროებში მოეპოვებათ. კაგანოვიჩის სახელობის მაღაროს კარგი ბანაო და სამრეცხაო აქვს. მაგრამ ამას

მუშები ვერ იყენებენ, ამ საქმის მოსაგვარებლად კი ადმინისტრაცია ცოტას აკეთებს.

მუშათა შორის საagიტაციო-აღმზრდელობითი მუშაობაც სუსტია. სტალინის სახელობის მაღაროში იმ ცვლის მუშათა უმრავლესობამ, რომელსაც ამბ. ბოდოკია ხელმძღვანელობს, არ იცის ვინ არის მათ ცვლაში აგიტატორი. ასეთივე მდგომარეობაა კაგანოვიჩისა და ლენინის სახელობის მაღაროებში. ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს ახალგაზრდა ამწეშენდმა ტ. მიროტაძემ გვიამბო, რომ მათ ცვლაში ერთი თვეა აგიტაცია არავის ჩაუტარებია. სწორედ ასეთი მუშაობით აიხსნება, რომ ჭიათურაში იშვიათია როდია შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევები.

მართალია, ჭიათურაში არიან ამზანაგ ა. სემენოვლოსის მიმდევრები — მბურღველები ამხ. გ. ჭიღლაძე, ალ. კაპანაძე, ვ. იაკობიძე, ს. სერგეევი, დ. მაკარაშვილი და სხვ. ცვლაში 5-6 სანგრეს ამზადებენ და გეგმას 150 პროცენტით ასრულებენ. მაგრამ ამ ჯერ კიდევ ნაკლები ყურადღება ექცევა ა. სემენოვლოსის შრომის ახალი მეთოდის ფართოდ დანერგვას. ეს მდგომარეობა უნდა გამოსწორდეს, მრავალსანგრეევოსნობა, როგორც მარგანეცის გამოღების გადიდების მძლავრი საშუალება, ფართოდ უნდა გაიროლოდეს.

კიდევ ერთი რამ, რაც ამცირებს მარგანეცის გამოღებას, ეს არის გრაფიკის დარღვევა. თითქმის ყველა მაღაროში ცვლა 2-3 საათის დაგვიანებით მიდიან მაღაროში. ეს მოქმედებს შრომის ნაყოფიერებაზე აფერხებს მარგანეცის გამოღებას. ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს მუშაობას ძალიან უშლის ხელს საჰაერო გზის ცუდი მუშაობა. იგი ვერ ასწრებს მადნის გადაზიდვას, რაც ამბრკოლებს მარგანეცის გამოღებას, იწვევს მუშათა მოცდენას. ამიტომ გადაწყდა სოციალისტური ბუნკერის აშენება. მაგრამ საქმე ის არის, რომ მარგანტრესტმა დროულად ვერ უზრუნველჰყო ამ ბუნკერის მშენებლობის დამთავრება.

ყველა აღნიშნულ და სხვა ნაკლოვანებათა გამოსწორება შესაძლებელია. როგორც ვთქვით, პირობები არის. საჭირო უნარი მონდომება. და გეგმა შესრულდება. ფრონტი ველოდება.

ჭ. ჭიოკაძე

„ჭყვარჩელქვანახშირმა“ შეასრულა სექტემბრის გეგმა

აკარმარა (ტელეგრაფით „კომუნისტის“ სპეც. კორ.), ტყვარჩელქვანახშირის ტრესტმა 22 სექტემბრისათვის, 21 დღის განმავლობაში, 101,2 პროცენტით შეასრულა ქვანახშირის გამოღების თვიური გეგმა. ქვანახშირის გამოღებაში წინ მიდიან პირველი უბანი (უფროსი მ. ადუმაკა), რომელმაც გეგმა 108,7 პროცენტით შეასრულა, მეორე უბანი (უფროსი ი. მალცევი) — 175 პროცენტით და მეხუთე უბანი (უფროსი ე. აგამოვი) — 136,1 პროცენტით.

სექტემბერში მუშაობა გაუმჯობესა აგრეთვე შიდასაშახტო ტრანსპორტმა, რომელიც ინჟინერი რ. როსნაძე ხელმძღვანელობს. ოპერატიულად ხელმძღვანელობს შახტის მუშობას მთავარი ინჟინერი ამხ. ა. ლაბაუა.

**დ. ლ